

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 თებერვალი, ხუთშაბათი, 1987 წ.

პირველი 1934 წლის 13 აპრილიდან

პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ორგანოს

წარმატება, როგორც დიდხანს ვალოდით

საზოგადოებრივი მრავალფეროვანი კულტურის განვითარებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ასეთი შედეგი არასდროს უჩვენებიათ. ვასილ დავიდენკო 1970 წელსა დაბადებულ...



ვასილ დავიდენკო

სწავლობს საქართველოს ფიზიკულ-ტურის ინსტიტუტის დაუსრულებელ განყოფილებაზე, არის სპორტის ოსტატი და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. წლებულს დეკემბერში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდის სხვა წევრებთან ერთად ევროპულ უნდა გაემგზავროს, სადაც საერთაშორისო მრავალფეროვანი კულტურის გაიმართება. მწვრთნელი, სპორტის ოსტატ ვიქტორ მალცევი განცხადებით სპორტსმენი გულმოდგინედ ემზადება ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც გაიხსნა შვეიცარიაში უნდა გაიმართოს.

ასეთი გეგმები აქვს ახალგაზრდა ველოსიპედისტს, რომელმაც ამ დღეებში გულდაუთმებლად მონაწილეობა მიიღო 1969-1970 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა მრავალფეროვანი კულტურის სახელმწიფო ორგანოს მიერ...

ის მე-3 გზ.

როგან ფლოზდენ ოსტატები

როგან ცნობილი ოსტატები ხშირად ჩამოდიან ბაიუმში. შავი-ზღვისპირა ქალაქს ამ მხრივ მართლაც საუკეთესო ტრადიციები აქვს. ასე იყო ამჟამადაც. როდესაც რესპუბლიკის ღია ჩემპიონატს თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, აგრეთვე, კონკურსებზე მონაწილე მოსკოვის, ესტონეთისა და ოდესის საუკეთესო წარმომადგენლები ეწვივნენ.

ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით დაძაბული იყო ვაჟთა ერთეულების ფინალი, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ თბილისელები და ქაქუა და ა. სიმონიანი.

ქაქუაემ პირველი პარტია დათმო — 3:6, მომდევნო პარტიაში, რომელიც დრამატულია და დაძაბულით გამოირჩეოდა, ქაქუაემ რევენში აიღო. ამ პარტიის დასაწყისში იგი კვლავ აგრძედა, მაგრამ შეძლო ძალების მო-

ბილიზება და გაიმარჯვა 7:6. ეს იყო, შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიური გარდატეხის დასაწყისი, ვინაიდან ქაქუაემ გადამწყვეტი პარტია იოლად მოიგო — 6:2. შეჯიბრების შესამე პრიზიორი გახდა დ. კვარაცხელია (თბილისი).

ქალთა ერთეულთა შორის მოსკოველი ჩოგბურთელები დომინირებდნენ: ფინალში ი. ფიშკინამ ანგარიშით 6:1, 6:4 სძლია ნ. რევას. შესამე ადგილზე კ. მიტროფანოვა გავიდა.

ვაჟთა წყვილების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დ. კაქარავა — ვ. გაბრიჩიძე და ესტონელები ტ. რიატსები — მ. პეტერსონი. გაიმარჯვეს ქართველმა ჩოგბურთელებმა — 6:4, 6:1, შესამე ადგილზე ჩვენი თანამემამულენი არიან: გ. კუპრეიშვილი — კ. გოგელიას წყვილი.

ქალთა წყვილების ფინალიც სტუმართა „დუეტმა“ გაითამაშეს:

ბაზონი ხევილიაში უნდა გამართულიყო გ. კახარავა. კარგის მატრის მხუთე პარტია. მაგრამ თამაში არ შედგა, ვინაიდან კარგოვმა პირველი ტაიმ-აუტი აიღო.

სანამ მობრ წარმ დათავრება

უმაღლესი ლიგის წყალბურთელობა საქართველო ჩემპიონატის მონაწილეებს მეორე წრის დამთავრებამდე სამ-სამი მატრი დარჩათ ჩასატარებელი. გუნდების ერთი ნაწილი ფინალისტთა ექვსეულში მოსახვედრად იბრძვის, დანარჩენებს კი უფრო კონკრეტული მიზნები აქვთ — შეინარჩუნონ ადგილი ლიგაში.

Table with columns: Team Name, W, L, D, Goals For, Goals Against, Points. Includes teams like Dinamo, Lokomotiv, etc.



დავიწყებული გილიკით

სპორტული ბაზების ნაკლებობა ხშირად ვეჩივით და ამის საფუძველიც გაქვს, მაგრამ ძველი, ტრადიციული შეჯიბრების ადგილებს რატომღაც ვივიწყებთ. კუს ტბის გარშემო, მაგალითად, ტრადიციული საშემოდგომო კროსები იმართებოდა. ეს ადგილი პირდაპირ ზედამოჭრილია მძლეოსნური ასპარეზობებისათვის: ამ პარტია და ლამაზ წყალსაცავს და მის უღამაზეს გარემოს თვით ლისის და თბილისის ზღვის მიდამოებზე ვერ დაუდებენ ტოლს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის კიდევ ერთ ღირსებაზე — იგი ხომ ქალაქიდან ხელს გაწვედნაზეა.



საინტერესო მძლეოსნური კროსი

გაიმართა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს ადგილი ტყუილად ამოიღეს სპორტულ შეჯიბრებათა კალენდრიდან. იგი, ასე ვთქვათ, არაფიციოსური შეჯიბრება გახლდათ. მისი ისტორია ჩვენი ვაზეთის ბევრ მკითხველს ეცოდინება, ალბათ გახსოვთ „თენგის კროსი“, რომელიც პირველად ენთუზიასტმა თენგიზ გელიძემ ილაშქრა ჩაატარა და აგრეთვე უკვე რვა წელიწადია მაგნიტით იზიდავს მაგანსადებელი რბენის მოყვარულებს (მას ახლა „მგლის მუხლი“ ჰქვია). გელიძემ ილაშქრა საზღვარგარეთის საცხენოსნო ტურნის მისა და სპორტულ-გამაჩანადებელი კომპლექსის დირექტორის მოადგილე და შეჯიბრების საორგანიზაციო საკითხებიც სწორედ ამ კომპლექსის თანამშრომლებმა და ენთუზიასტებმა გადაწყვიტეს, თუმცა რაც მართალია, მართალია, ინიციატორები ალბათ მერტყუადლებს ელოდნენ თავიანთი ორგანიზაციისათვის.

შეჯიბრებაზე გათამაშდა პირები სხვადასხვა ასაკის მორბენალთათვის. სხვათა შორის, ეს ჯილდოები კროსის ხელმძღვანელებმა და მონაწილეებმა საკუთარი სახსრებით შეიძინეს.


შეჯიბრება ხალისიანად და საინტერესოდ ჩატარდა. უძლიერესთა გარეშე გაიმარჯვეს „მგლის მუხლის“ ჯილდოს პირველმა მფლობელმა შალვა ნადირაძემ და მყავალა ამზოვამ. ქალთა შეჯიბრებაში პირველი პრიზი მიიღო ეთერ სოსოლიამ, გოგონათა პირველობაში კი მისმა ქალიშვილმა ლიზამ იმარჯვა. ჰაბუტებში პირველი იყო გენადი ზუტიკოვი, უფროსი ასაკის მამაკაცებში (50-60 წ.) — გიორგი სტროგეცკი, საშუალო ასაკში — ხიკოლოზ დუდნიკი.

სურათზე: კროსის მონაწილეები დისტანციაზე; შეჯიბრების უხუცესი მონაწილე 68 წლის სოსო გოლითაძე.

თბილისელთა შპირატსობით

ბათუმის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის კომპლექსში გაიმართა ჰაბუტთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული სპორტულ ტანვარჯიშითა ტურნირი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე.


საერთო გუნდურ ჩათვლაში ქალაქებსა და რაიონებს შორის გაიმარჯვა თბილისის ნაკლები კვალი. მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისის გუნდი, მესამეზე — აჭარის ტანვარჯიშელები.



სურათზე: ხედავთ ახალგაზრდობის მომენტებს.

სასკოლო ფიზკულტურა © გამომცემლობა

...ლექსი ბაილოში, გიორგი ღვინიაშვილი, ვახტანგ ქუთათელაძე, მიხეილ მაისურაძე, შალვა ბოსტაშვილი. აი, იხილეთ, ვინც ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების თბილისის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები...



გიორგი გაბიაშვილი

სწორედ ბაილოში გაზარდა ხაუკეთესო ტანმომზადებელი ცილა მაკარაშვილი, დოდო ციხითაიშვილი, ვალერიან ახათიანი, შალვა ბოსტაშვილი — ზელების ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შედეგა ჯულელი...

ნუ მოვთხოვთ მასწავლებელს ჩაეპიონებს...

იმხანად ძალზე პოპულარულ ფიზკულტურის ტექნიკაში სწავლისას ტანმომზადება იარაღება გაიტაცა. ფიზკულტურის ინსტიტუტში კი მისი მასწავლებელი გახლდათ გიორგი გაბიაშვილი, რომელმაც თავისი შეგირდი ხარკოვი გამართულ ფიზკულტურის სტუდენტთა საკავშირო პირველობაზე გამოიყვანა. ის იყო და ის, სხვა ხმაურიანი წარმატება გ. გაბიაშვილის არ ჰქონია, საქმის ერთგულმა კაცმა მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა აღმზრდელობით მოღვაწეობას შეაღწია. გ. გაბიაშვილი ნახევარი საუკუნეა სკოლაში მუშაობს. 1940 წელს კალინინის რაიონის სპორტსკოლას ჩაუდგა სათავეში, თან ტანმომზადების მწვრთნელად მუშაობდა. მერე ომში იყო, საიდანაც საბრძოლო ჯილდოებითა და ოფიცრის ჩინით დაბრუნდა და ისევ სკოლაში დაიწყო ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობა. ამავე დროს იყო სპორტსკოლის მწვრთნელი და შეთანხმებული ტანმომზადებელი გოგონათა თანა აღზარდა. რუსულად და ლუიზა ჯინჯარაძეები, მარინე ჩაჩიანი, შვილი მონიავა, მარინე აბულაძე,

არ გამოუყვანია წარმომადგენელი. მაგრამ, სამაგიეროდ ამჟერად შედეგები უფრო მაღალი იყო, მთავარიც ეს არის. რაც შეეხება სასკოლო რეფორმას, რომლის ძალითაც მოსწავლეებს კვირაში უტარდებათ ფიზკულტურის 2 გაკვეთილი, ვფიქრობ, კლასისთვის, რომელშიც 40-45 მოსწავლეა, ეს მაინც არ არის საკმარისი. სასკოლო, ამ მრავალრიცხოვან კლასებში ფინანსურად 3-4 გაკვეთილი მაინც ჰქონდეთ. მიზანშეწონილად მიმაჩნია ის, რომ X-XI კლასებში გოგონები და ქალები ცალკე-ცალკე ვარჯიშობენ. მაგრამ ასეთი დაყოფა შედეგ კლასიდან უნდა მოხდეს. შეათეკლავსეთ სავალდებულო გახდა რბენა გრძელ მანძილებზე — გოგონებისთვის 2000, ბიჭებისთვის 3000 მეტრზე. თანაც მიზანთვის, რომ ჩაივლა მიიღონ, ისინი განსაზღვრულ დროში უნდა ჩაერთონ. რეფორმა სანახი და მისი მასწავლებლის ავტორიტეტი გაზარდა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ბუნებრივად მოვლენებით? სკოლების უმეტესობაში

კომპონიანი ბრასიონები

პარჯინის შემდეგ ია ზღულაძე კვლავ... ვარჯიშზე მოვიდა. დილით სპორტის ოსტატი ჰიდაობა ძიულში თვითონ ხევედა ილიეთებს „ღინამოს“ დარბაზში, ალბათ კი პირველად მოგვევლინა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმაგა-ლმშენებელთან“ გახსნილ ძიულდოსტ გოგონათა სექციის მწვრთნელის როლი. — როგორ ჩაიარა დებიუტი? — ვკითხვთ თბილისის მ. თომის სახელობის საშუალო საშობატროფისიული ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულს. — ნორმალურად, თუქცა თავიდან ჩემს აღსაზრდელზე ნაკლებად როდი ვლელავდი. — თქვა პან. — ოცი გოგონა, ისეთი სასაცილოები იყვნენ. ერთად მოგროვდნენ, სტეპენოდ... ხოლო, როცა ვუჩვენებ, თუ როგორ იკრებამაირა, როგორ უნდა კომონოს გასწორება, როგორ სრულდება ძიულდოსათვის ტრადიციული მისალმება — გოგონები სწრაფად დაინტერესდნენ. გავისხენ, რომ მეც ასე ვიყვებდი. — როგორ იყო ეს? — დიდი ზანია ვსწავლობ იპონის ისტორიას და ხელოვნებას. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ შევევრებული ვარ ამ უძველეს, თავისთავად მდიდარი ტრადიციების ქვეყანაზე. სწორედ ამან მიმიყვანა დარბაზში, როცა წავიკითხე გაზეთში განცხადება ძიულდოს სექციაში ქალების მიღების შესახებ. მას შემდეგ სამი წელი გავიდა, რაც თერთ კომონოებში გამოიყვობილ შემევიერი სქესის წარმომადგენლებთან პირველი მეცადინეობა ჩატარა სპორტის ოსტატმა გოდერძი ველიჯანაშვილმა. იგი გამართა „ღინამოს“ სტადიონის საკვილო დარბაზში. — რა დასამალია, — იხსენებს მწვრთნელი, — თავიდან გოგონები უნდობლობით და შიშითაც კი ეკიდებოდნენ სპორტის ამ მამაკაცურ სახეობას. მომიწია მათთვის აგტაციის გაწევა, დარწმუნება, რომ იპონური ჰიდაობა „უწყინარია“ ქალის ორგანიზმისათვის. შეეძლო არღმენივე მათი ნაცნობის, ნათესავის დაყოფიება. პირველ მეცადინეობას სამი-ხუთი ქალი ესწრებოდა. მაგრამ ყოველთვიურად უზრდებოდა ძიულდოს თავისი მცემელი რიტევი. ახლა სექციის სამ ასაკობრივ ჯგუფში ვარჯიშობს ორმოცდაათამდე გოგონა. ვიღებთ აქ 12 წლიდან ყველა მსურველს. განთავსა ბუნებრივია, ვარჯიშის პროგრამა უნივერსალურია. მასში შედის სირბილი, აერობიკა, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრეზბურთი. ახრატომ რჩებათ სექციაში ძირითადად ისინი, ვინც წინათ მისდევდა სპორტის რომელიმე სახეობას. ... ხანმოკლე მოთევა დამთავრდა. მწვრთნელის ნიშნისთანავე ძიულდოსტები შეუდგნენ ფეხბურდგომელა და ჩოქერებში ჰიდაობის ილიეთების დახვეწას. ჯი, ბოლოს, გაისმის: „ხაიმი!“ — ორთაბრძოლის დაწყების ნიშანი. ყველაფერი როდი მოსწონს მწვრთნელს და მას მკაფიო მითითებებით შესწორებები შეაქვს თავისი აღსაზრდელის მოქმედებაში. — ყოველივე ეს ადვილი ასახსნელია, — თქვა გოდერძი ველიჯანაშვილი. — ზაფხულის არღდეგების შემდეგ გოგონებმა ვერ მოასწრეს სათანადო სპორტული ფორმის მიღწევა. მაგრამ მათი ერთ-ერთი მიზეზი და მიზეზობა იმის მიხედვას, რომ გოგონები სავსებით მომზადებული შეხვდებიან სსრკავშირის თასის გათამაშებას, რომელიც დეკემბერში გაიმართება ბაქოში. მართალია მწვრთნელი თავშეკავებულია თავისი აღსაზრდელის შეფასების დროს, მაგრამ მე სა-

წინააღმდეგო აზრი შემექმნა. თერთ კომონოებში გამოიყვობილი გოგონები იმდენად გრაციოზულები და ბიჭილები არიან, რომ... ვთხოვე ერთ-ერთს პირდაპირ ჩემზე გამოეცადა რომელიმე ილიეთი. ჩავიცი ფორმა და დავდექი ტატამის ცენტრში... და უეცრად ხალიჩაზე გართხმული აღმოვჩნდი, გაღიმებული სპორტსმენი კი მეკითხება: „ზომ არ გეტკინათ?“. ილით, რომლითაც სპორტის ოსტატობის კანდიდატმა მია ყოჩაშვილმა ტატამს გამკარა, ეწოდება „მოგვერდი“. — კიდევ ერთხელ ვცადოთ? — შემთავაზა მეტრეკემ. როცა უარი ვთქვი კიდევ ერთხელ მეგზრონა „ღეღამის მიზიღმლობის“ ძალა, ვთხოვე მათს ეამბა თავისი სპორტული გზის შესახებ ერთი წლის წინათ იგი სექციის მიეყვანა მამა, რომელიც ასევე ძიულდოსტია, მანამდე მია კალათბურთზე დადიოდა. რატომ აირჩია სწორედ ძიულდო? — ყოველთვის მომწონდა სპორტის ეს სახეობა, — თქვა პან, — იქნებ სწორედ იმიტომ, რომ იგი „ძიულდომლად“ მეჩვენებოდა ქალებისათვის. — ერთი წლის მანძილზე მამამ მოასწრო არა მარტო დაწვოდა სექციის „ვეტერანებს“, არამედ გაუსწრო კიდევ ზოგიერთ მათგანს. — ჩაუბა საუბარში გოდერძი ველიჯანაშვილი, — ორჯერ გახდა „ღინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ბრინჯაოს პრიზორი, მესამე ადგილზე გავიდა ბელორუსის ლია ჩემპიონატზე. მათას ოსტატობით არც ჩვენთვის უკვე ნაცნობი ია ზღულაძე და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ქეთინო ჩართლანი ჩამოუვარდებიან. — ასე მოხდა, — კვლავ ჩაუბა საუბარში ია, — რომ მე და ქეთინო ერთად ვსწავლობდით სასწავლებელში, ერთად მოვედი სექციაში ორი წლის წინათ. თავიდან მეგობრები ერთ წონის კატეგორიაში გამოდიოდნენ — ნი კილოგრამამდე. და ხშირად ასაბრეზობაზე ერთმანეთსაც ეცილებოდნენ საპრიზო ადგილებს. ახლა მათი გზები გაიყარა — იამ დაიკლო ზედმეტი ათი კილოგრამი და გავიდა სხვა წონის

ბომ ხშირად ერთდროულად 2 კლასი შედის ერთ გაკვეთილზე. ეს განსაკუთრებით ახლა გახდა საგრძნობი, როცა სასწავლო ნორმატივების შესრულება სპორტ მოკლე მანძილებზე — 30, 60, 100 მ-ზე რბენაში, აგრეთვე ბურთის ტყორცნასა და ბრტომბში.

გარდა ამისა, სასურველია, მტკიცედ სრულდებოდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ფიზკულტურას დაწყებით კლასებშიც სპეციალისტები უნდა ასწავლიდნენ. ამით საქმეს წინ წავეყვით, უფროს კლასებში მოსწავლეთა მომზადებული კონტინგენტი გვეყოლებოდა. თორემ რა გამოდის? — თუ საბავშვო ბაღებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სპეციალისტებმა უნდა ჩატარონ, სკოლის დაწყებით კლასებში რას მისცემენ მათ არასპეციალისტები. არადა, სასკოლო პროგრამაში შედის მშლ-სა და „იმედის სტარტები“ ნორმატივები, რომელთა ჩასაბარებლად ბავშვს სპეციალური მომზადება სჭირდება.

„იმედის სტარტები“ და მშლ ახსენეთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს სკოლებში მათი დანერგვა-განვითარებისთვის? — დავიწყებ იქიდან, რომ, როცა საშუალო სკოლებში მშლ კომპლექსი ის-ის იყო დანერგეს, მას მხარში ამოუდგა არანაკლებ საინტერესო მრავალჭობი — „იმედის სტარტები“, რომელშიც შედის ტანვარჯიში, რბენა 60 და 1.500 მეტრებზე, ბურთის ტყორცნა, სროლა, სიგარტზე ხტობა და სხვ. სულ 9 სახეობა. როგორც ხელდავთ, მშლ-სა და „იმედის“ სტარტებს ბევრი რამ აქვთ საერთო და ამიტომ კომპლექსშია იქნას ამ საბავშვო თამაშების ბანაკ „ორლიონოკში“ ჩატარება. წლებადღეს სტარტებში ავიარის საშუალო სკოლის VI კლასის გუნდი — „მტორშვიაიამ“ ქვეყნის სოფლის სკოლებს შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. საქალაქო სკოლების გუნდებს კი თბილისის 92-ე საშუალო სკოლის გუნდი ეცლებოდა გამარჯვებამ და იგი მე-20 ადგილზე გავიდა.

უნდა ითქვას, რომ ეს თამაშები ძალზე მკორი საბავშვოა. რანდგან ყველგან ხაეებამი. მასწავლებლები სათანადო ჩამოვლობით უნდა წახადგან. ტანმომზადების, მშლენსი, მოტყორცნა და ასე შემდეგ, რაზეც სკოლებს არ მიუწვდება ხელი. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია სპორტული პირობებში თანაბარი ძალის გუნდი რომ მოამზადოს პედაგოგმა. მას ხომ გუნდის მომზადებასთან ერთად მოწაფეების ინვენტარით უზრუნველყოფა და სპორტულ ფორმაზე სირბილი უხდება, ამასთან, სხვა კლასების გაკვეთილებიც არ უნდა ჩამოვლოს. სადა აქვს ადენი დრო, ნურც ის დაავიწყდებათ, რომ მას ყველგან „მწვანე ქუჩა“ არ ელის და უხვად აწყდება სხვადასხვა დაბრკოლებებს, უფრო ხშირად მათ მბრინდა... ვისაც უშუალოდ ამ თამაშების ხელმძღვანელობა და ჩატარება ეხება. პოდა, კვლავ მსოვრობს ფორმალისმი, ყალიბი ციფრები, რომლის მიღმა ყველა არხეინად გონობს თავს. ფორმალისში წარმოშვა ცალკეული სპორტული შედეგებით დაინტერესება, რაც მასობრიობას, მთანთავებს.

ახლა, როცა მოსწავლეებს ასე მთავალი პირობინაია, სკოლითონ, არის კი საჭირო მდელი კლასი რომ მაღალ, საჩემპიონო შედეგებისათვის იბრძოდეს? ამისათვის ხომ სპეციალურად ნიჭიერ, იმედისმომცემ მოსწავლეებს არჩევენ მწვრთნელები... და მათი დოოსტატება გრძელდება სხვადასხვა ცენტრებსა და სპეციალიზებულ სპორტსკოლებში. მასწავლებლის მთავარ მიღწევად კი ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ბავშვებს ფიზკულტურა შეაყვაროს და სისტემატურ მეცადინეობას მიანიჭოს. ამიტომ სკოლის პედაგოგის მუშაობის კრიტერიუმად ღღეს სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ და არა ის, თუ რამდენი ჩემპიონი ჰყავს მას კლასში.

საუბარი ჩაიწერა შ. უხანიაძემ.

სანშობალ ჩოსტაშვილი მოქალაქეებს

ჩამდენიმი წლის წინათ ჩოსტაშვილის რაიონში დაარსდა ჰადრაკის კლუბი (დირექტორი — ოსტატობის კანდიდატი ამირან ბერძენიშვილი). თითქმის ყოველდღე ლიაა მისი კარი რაიონის ბავშვებისთვის, პედაგოგებისთვის, ჰადრაკის მოყვარულთათვის. სასიხარულოა, რომ უკანასკნელ პერიოდში კლუბმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა, გაიზარდა ობიექტების რიცხვი, უფრო მასობრივი და პოპულარული გახდა სპორტის ეს სახეობა რაიონში არსებულ წარმომადგენელთა კლუბებში, სკოლებში, მოსახლეობაში. წელს ჩოსტაშვილი მოქალაქეები მონაწილეობდნენ ოთხ საკავშირო და რაიონულ პირველობაში, ცხრა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. საბჭოთა კავშირის ჰაბუქთა პირველობაზე 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა გია გოგოლაძემ VI-VII ადგილები გაიყო. მანვე მინსკში „ღინამოს“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მათუშში გამართულ უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ტურნირში თავი ისახელეს ზევს მე-2 და შუაგანსლების საშუალო სკოლების ნორჩმა მოქალაქეებმა კ. ჩინტაძემ, ზ. ცინცაძემ, ზ. ჩხიკვაძემ, ვ. ყაჭეიშვილმა, რომლებმაც სპორტული თანარის ნორმატივები შესასრულეს. სამტრედიამში, საქართველოს პირველობაზე საქამაისკის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ გივი ქობიძემ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შესასრულა. მრავალფეროვანი და საინტერესო საკადრაკო კლუბის სამუშაო გეგმა, რესპუბლიკის სპორტსაკომში ჩოსტაშვილი მოქალაქეებს სარჩებრად გადსაცა საჭირო ინვენტარი. ეს საჩუქარი კიდევ უფრო მეტს ავალბებს კლუბის ხელმძღვანელობასაც და თითოეულ წევრსაც. ღვათ ბურჯანიძე, „ღელდოს“ კორ.

რ. უხანიაძე, საქინფორმის კორ.

მოჭადრაკის სჭირდება კომპიუტერი

ეროვნული

სულ უფრო ფართოდ ვრცელდება უნივერსალური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები — პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც დაახლოებით "ხელისაწინა პლანშია" ზომისანი არიან, თუ არ ჩათვლით დისკებს (ცერანს) რომელზეც ვიზუალურად აისახება ინფორმაცია. გამოთვლის უნარით, პერსონალური კომპიუტერები იმ მანქანებს უტოვდება, რამდენიმე წლის წინ მთელს ოთახს რომ იკავებდა.

პერსონალური კომპიუტერი მხოლოდ, სწრაფმოქმედი მანქანაა და მხოლოდ მოწყობილობითურთ. ტელევიზორის მსგავსი აპარატი ჩვეულებრივ საწერ მანქანაზე თავსდება. ისე, როგორც ტელევიზორს „სულს შთაბერავს“ სატელევიზიო პროგრამა, კომპიუტერსაც ესაჭიროება პროგრამა, ანუ, როგორც ამბობენ, მათემატიკური უზრუნველყოფა. პროგრამებს სატელევიზიო გადაცემის სტენდარტის მსგავსად წერენ, ოდნოდ სპეციალურ, მანქანებისთვის გასაგებ ენაზე.

დღეისათვის შექმნილია სხვადასხვა დანიშნულების მქონე ათასობით პროგრამა. ამ პროგრამებით სარგებლობა ისე ადვილია, როგორც ვარაუდობენ, ამ მანქანებისთვის კასეტის ჩართვა. საქართველოში მაგნიტური დისკო, დაეყენოთ განკუთვნილ ადგილზე და კლავიშს თითო დავაჭირებ. რამდენიმე წამში კომპიუტერი დაბრუნდება და მუშაობისთვის მზად იქნება. თვით პროგრამის მომართვა კი რთულ და ხანგრძლივ შრომას მოითხოვს და მას პროგრამისტი ასრულებს.

ავტომატიზებულ კარტოგეას, ე. ი. პერსონალურ კომპიუტერს უკვე ბევრი დილისტატი იყენებს

ინფორმაციების მისაღებად. ცნობილია, რომ დღეს ჰადრაკის პარტიში ფორსირებული ვარიანტები ზოგჯერ პირველივე სელიდან იწყება და მთავრდება მამის, როცა პარტის ბედი გადაწყვეტილია. პოლიციის უმრავლესობაში ორმხრივი შესაძლებლობები ამოუწურავია, წარმატების სასწრაფო იწარმოებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ხშირად ყველაფერს ერთი რომელიმე ტაქტიკური მანქანა, ან ერთი სელა წყვეტს. ამის ცოდნა კი სავალდებულოა მოჭადრაკისტისთვის. აი, რატომ ენიჭება საინფორმაციო სამსახურს ესოდენ დიდი მნიშვნელობა. ახლო მომავალში ყველა წამყვან მოჭადრაკეს საკუთარი პერსონალური კომპიუტერი ექნება „ინფორმაციის ბანკის“ შესაქმნელად.

საჭადრაკო ინფორმაციის დამუშავების ერთ-ერთი სისტემა — „დებიუტი“ 1986 წელს შეიქმნა. აი, რა გვითხრა ამ სისტემის გამომგონებელმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსანდრე დედოლაძემ:

— სისტემა „დებიუტი“ საშუალებას გვაძლევს „მონაცემების ბანკში“ რამდენიმე წამის განმავლობაში მოვებნათ პარტია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით. ეს ნიშნებია: მეტროქეცა გვარები, ინდექსი, შეჯიბრება, შედეგი და ა. შ. შეგვიძლია მანქანას მივაწოდოთ რომელიმე სადებიუტო ვარიანტის სველები და იქვე მივიღოთ ყველა ამ პარტიის ანაბეჭდი, ხადაც ეს ვარიანტი ვაჩვენებ. „მონაცემთა ბანკის“ შევსებისას პარტიათა ტექსტები კლავიატურის მეშვეობით შედის, თანაც ყოველი ნახევარსელა საქადრაკო

წესების საფუძველზე მოწმდება და დაგრაფაზე აისახება.

შეკრი დისკი — მაგნიტური მოწყობილობა დიდი მოცულობის ინფორმაციის შესანახად — საშუალებას იძლევა მანქანად დამახსოვროს 50 000-მდე პარტია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიქმნას საკმაოდ დიდი კარტოთეკა.

კომპიუტერს შეიძლება დაევალოს არა მარტო წმინდა ტექნიკური სამუშაო, არამედ ისეთი შრომატევადი საქმეც, როგორცაა პარტიათა კლასიფიკაცია დებიუტების მიხედვით. მანქანის მეხსიერებაში შეავსო ხადებიუტო კლასიფიკატორი. ახერხებ, სისტემაში შეტანილ ნებისმიერ პარტიას კომპიუტერი შეხაზავს ინდექსს დაუხვამს. ამ დროს წარმოიშობა სელათა გადახაცვლებასთან, ერთი დებიუტიდან მეორეში გადახვასთან დაკავშირებული და სხვა ხინელები. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ინდექსაციის მაღალი ხარისხის მიღწევა ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია.

„დებიუტი“ არა მარტო ინფორმაციის შენახვისა და მოძებნის, არამედ პარტიათა და პოლიციათა ანალიზთან უშუალოდ დაკავშირებული სამუშაოს ავტომატურად შესრულების საშუალებასაც გვაძლევს. შეგვიძლია საინფორმაციო ბანკში მოძებნილი პარტია ავტომატურად გავითამაშოთ დისკების ქრანზე გამოსახული ფერადი გრაფიკული დაგრაფის საშუალებით. ამ დროს მოჭადრაკეს უურაღებდა არ ეფანტება პარტიის ტექსტის კითხვისა და ფიგურათა გადახაცვლებას. გათამაშების პროცესში შეხადლებულია ჩქარება, შენელება, თამაშის შეჩერება, რამდენიმე ბოლო სვლის უკან დაბრუნება, პარტიის ჩაწერა

კომენტარებით. ყველაფერი ეს ავტომატურად გამოდის საანალიზოდ.

პერსონალური კომპიუტერი აღჭურვილია სპეციალური მანიპულატორით, რომელიც საშუალებას გვაძლევს პარტია კლავიატურის გამოყენებით შევიტანოთ ბანკში და ფიგურები გადავაადგილოთ მათ უშუალოდ დისკების ქრანზე მითითებით, ისე, როგორც დაფაზე ვაკეთებთ, ასეთი მოწყობილობის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ ფიგურები დაწყეთ რომელიმე პოლიციისა და განხილეთ ვარიანტები. კომპიუტერი იმასსოვრებს ჩატარებულ ანალიზს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მას შეუძლია დაბეჭდოს პოლიცია და გაანალიზებული ვარიანტების ტექსტი.

მინდა ხაგვანთ ადვინშო, რომ პერსონალურ კომპიუტერზე დაყრდნობით შეხადლებულია საქადრაკო ინფორმაციის არა მარტო ძალიან სწრაფად და ხაიძოდ დაშუშავება (ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით), არამედ ამ ამოცანების სხვა, წინათ შეუძლებელი ფორმით დახმაც.

ამჟამად დღის წესრიგში დგას საჭადრაკო ინფორმაციის ცენტრალური ბანკის შექმნის საკითხი. ამ მიზნით რამდენიმე მსგავსი კომპიუტერის გამოყენება საშუალებას მოგვცემს ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებში მოვათავსოთ და მათზე გავანაწილოთ ინფორმაციის მოცულობა. ეს ინფორმაცია თავს მოიყრის ერთ წყაროში — ცენტრალურ ბანკში, რომელიც კარტოთეკის საშუალებით დააკმაყოფილებს მომხმარებელთა ინტერესებს.

ა. დედოლაძე იხსენებს „დებიუტის“ დემონსტრირება მოასტრინა ამერიკელი ნაწარმის პერსონალ-

ურ კომპიუტერს „PAM-XI“ ზე კლავიატურის დასაყრდენი დისკების ქრანზე განათა ფერადი საქადრაკო დაგრაფა. მაყურებელთა თვითნით გათამაშდა ერთ-ერთი პარტია კასაროვ-კარპოვის მატჩებიდან. დაგრაფის გვერდით სვლები იყო მითითებული. მოთხროვისას თვალის დახამხამებაში დაიხებნა პარტიები, რომლებიც გრუნიფელდის დაცვით იწყებოდა. კომპიუტერმა გამოიტყველის როლიც შეასრულა: „ფრანგული დაიკვის“ ვარიანტების მკაცრი გამოკითხვა მოაწყვა.

ნათქვამს შეიძლება ისიც შევამტროს, რომ მრავალფეროვან, პრაქტიკულად ფრიალ საქარო ამოცანათა ვადასაყვეტად პერსონალური კომპიუტერები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საქადრაკო კლუბებში. მაგალითად, აქ შეიძლება საინფორმაციო-საძიებო სისტემის გამოყენება, სათამაშო და სასწავლო პროგრამები კი პიონერთა სასახლეებში და სკოლებს გამოადგება ტურნირებისა და შეჯიბრებისთვის მზადებისას პერსონალური კომპიუტერი შეიძლება გამოვიყენოთ პრეს-ბიულეტენებისა და სხვა დოკუმენტების დასაბეჭდად.

ბართალი, დედოლაძე იხსენებს ტექნიკური მოწყობილობები (პერსონალური კომპიუტერები, დისკეტები) დევიციტური საქონელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მოჭადრაკეებს ნაკლები ინფორმაცია შეუძლებ იმათთან შედარებით, ვინც კომპიუტერით სარგებლობს. ასე რომ, კომპიუტერების მოჭადრაკეთა სასახურში ჩაყენება გადამუდგებელი საქმეა.

დავით ჯაფარიძე, თბუ-ს გამოყენებით მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

მარათონი თბილისის ზღვაზე

მარათონი მსოფლიოში უძველესი სპორტულ შეჯიბრებად ითვლება. მონაწილეთა რიცხვით მან დიდი ხანი შორს ჩამოიტოვებდა სპორტის სხვა სახეობები; ხოლო შემაღვლელით ყველაზე „დემოკრატიული“ ასპარეზობა გახდა: სტარტზე გამოდიან როგორც სრულიად ახალგაზრდა, ისე ასაკოვანი მორბეულები.

ბოლო წლებში საქართველოში გვექონდა მარათონის ჩატარების მეტ-ნაკლებად წარმატებული ცდები. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში მარათონის დღე ადვილად ეწყობა, მაგრამ სამხრეთის რესპუბლიკებში, სადაც ამ დროს დიდი სიციხეებია, შეჯიბრება შემოდგომაზე იმართება.

1 ნოემბერს თბილისის ზღვის მიდამოებში ჩატარდება საქართველოს ღია ჩემპიონატი მარათონულ რბენაში. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილე უნდა არიან სომხეთისა და აზერბაიჯანის უძლიერესი მორბეულები, ოთხ დისტანციაზე გაიმართება. ქალათვის 10 და 20 კმ-ზე, ვაჟებისთვის — 20 კილომეტრზე და სრულ მარათონულ დისტანციაზე — 42 კმ და 195 მეტრზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოებების, სპორტული კლუბების, სპორტული სკოლების გუნდები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის წევრები. სტარტზე გამოხვალა შეუძლია ყველას, ვინც წინასწარ წარმოადგენს სამედიცინო ცნობას. მათ კი, ვისაც ქალთა შორის 20 კმ-ზე და ვაჟთა მარათონში გამოსვლა სურთ, თან უნდა იქონიონ სამედიცინო ცნობა — ფორმა № 227.

მონაწილეთა შეკრება და სტარტი დანიშნულია 1 ნოემბრისთვის თბილისის ზღვაზე, თეშქის დასახლების მხრიდან. ავტობუსები 10.30 საათამდე საქართველოს სპორტსახომადე (ქავკავადის პრ. № 49) დაელოდებიან შეჯიბრების ნახვდს და მასში მონაწილეობის მსურველებს.

მარათონში მონაწილეობის უფლება აქვთ 1970 წელს დაბადებულ

ლათვის 10 და 20 კმ-ზე, ვაჟებისთვის — 20 კილომეტრზე და სრულ მარათონულ დისტანციაზე — 42 კმ და 195 მეტრზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოებების, სპორტული კლუბების, სპორტული სკოლების გუნდები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის წევრები. სტარტზე გამოხვალა შეუძლია ყველას, ვინც წინასწარ წარმოადგენს სამედიცინო ცნობას. მათ კი, ვისაც ქალთა შორის 20 კმ-ზე და ვაჟთა მარათონში გამოსვლა სურთ, თან უნდა იქონიონ სამედიცინო ცნობა — ფორმა № 227.

მონაწილეთა შეკრება და სტარტი დანიშნულია 1 ნოემბრისთვის თბილისის ზღვაზე, თეშქის დასახლების მხრიდან. ავტობუსები 10.30 საათამდე საქართველოს სპორტსახომადე (ქავკავადის პრ. № 49) დაელოდებიან შეჯიბრების ნახვდს და მასში მონაწილეობის მსურველებს.

მარათონში მონაწილეობის უფლება აქვთ 1970 წელს დაბადებულ



და უფროსი ასაკის მორბეულებს. ქალთა (10 კმ) და ვაჟთა დისტანციებზე (20 კმ) რბენაში მქვსივე პრიზიორი დაბლომებითა და პრიზებით, 20 კმ-ზე და მარათონში გამარჯვებულები კი დიპლომებით, პრიზებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

გარდა „შინაგანახა“

თანამედროვეობის № 1 ჩოგბურთელი ქალი შტეფი გრაფი უახლოეს შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. „შესვენება“ იმით არის გამოწვეული, რომ სპორტსმენმა ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

მარათონაზი უფრო პოპულარული

პოპულარ გაზეთ „ეიკი ვარშავის“ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ დღეისათვის ჩოგბურთელი გაბრეულა საბატონი არგენტინაში თვით მარათონზე უფრო პოპულარულია.

17 წლის საბატონი ამჟამად ყველაზე უფრო ახალგაზრდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ათეულში. ამას წინათ არგენტინაში ჩატარდა გამოკითხვა — ვინ არის ყველაზე პოპულარული ადამიანი ამ ქვეყანაში. პირველ ადგილზე

კალიდოსკოპი

ლზე გავიდა არგენტინის პრეზიდენტი რაულ ალფონსინი, მეროზე — გაბრეულა საბატონი.

ტანისონი — სინესი

კრივის მენაჯრმა ბეტრ ლუსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მიიღეულია შეთანხმება მსოფლიო ჩემპიონ მეტრიონისა და მსოფლიოს ექსტრემიონ მიკელ სპინქსის მატჩის მოწყობის შესახებ. როგორც ცნობილია, წლეულს სპინქსის მათში მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოართვის, რადგან მან თავი აარიდა პრეზიდენტ ტერილ ბიგსთან შეხვედრას.

ტანისონისა და სპინქსის მატჩი გაისხალ მათში უნდა გაიმართოს.

სინფარ კარანგი

ცენტრალური ტელევიზია. 22 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (1); უფვა-ს თასზე ფეხბურთში: „ვიქტორია“ (ბუქარესტი) — „დინამო“ (თბილისი) — 18.00 (1); მსოფლიო ჩემპიონატი ჰადრაკში — 19.55 (1); რატმული ტანვარჯიში — 21.15 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიში (გადმოცემა პოლანდიდან) — 0.15 (1).

23 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიში — 22.50 (1); მსოფლიო ჩემპიონატი ჰადრაკში — 1.30 (1).

საპარტოვლო ტელევიზია. 22 ოქტომბერი. უფვა-ს თასზე ფეხბურთში: „ვიქტორია“ (ბუქარესტი) — „დინამო“ (თბილისი) — 18.00; მსოფლიო ჩემპიონატი ჰადრაკში — 19.55.

რედაქტორის მოადგილე უ. ზიზინაძე.

სამთა ტურნირის წინ

23-25 თებერვალს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გაიმართება მოყვარულ და პროფესიონალ კალათბურთელთა შეხვედრა. ტურნირზე სამოყვარულო კალათბურთი წარმოდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის ნაკრებითა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ მილანის „ტრეისერი“, პროფესიული კალათბურთის ღირსეებს კი „მილუოკ ბაქსი“ დიცივს. ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი ძალა იყო მძლავრი ცენტრალური თავდასხმეულები ვლადიმერ ტანენკო, ალექსანდრე ბელოსტენი და არვიდას საბონისი. ნაკრებისთვის წარმატებები — სწორედ ცენტრების ძლიერ თამაშს მოქმენდა, როგორც მწერ-

თელი ა. გომელსკი აღნიშნავს, დღეს ნაკრების ყველაზე სუსტი ადგილი სწორედ ეს რგოლია. საქმე ისაა, რომ საბონისი და ტანენკო დამეგობრებული არიან, ბელოსტენი კი დისკვალიფიცირებულია. თანამედროვე ტიპის მძლავრი ცენტრების გარეშე „ტრეისერი“ და პროფესიონალთა თამაშში, რასაკვირველია, საკმაოდ ძნელი იქნება. ამჟამად დროს, ეს ტურნირი კარგი სკოლა იქნება ჩვენი ახალბედა ცენტრებისათვის, რომლებიც ძლიერ მეტროქესთან ბრძოლის გამოცდილებას მიიღებენ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს ტურნირში მონაწილეობას ნაკრების ხელმძღვანელობა.

მილანის „ტრეისერი“ არაფრით ჩამოუვარდება, შეიძლება უფრო ძლიერი იყოს, ტალისის ნაკრებზე. ამ სიძლიერეს მას მოწვეული ამერიკელი კალათბურთელები სძენენ. აღსანიშნავია, რომ „ტრეისერი“ საკლებო კალათბურთში არსებულ ყველა უმაღლეს ტიტულს ფლობს. გუნდი არის იტალიის მრავალჯობის ჩემპიონი და ქვეყნის თასის, ჩემპიონთა თასის, თასებზე მფლობელი თასის, რ. კორაჩის თასის და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. დაცვაში „ტრეისერი“ თამაშობს კონტრატურ კალათბურთს, მკაცრი პერსონალია „მეურვეობით“, შეტევას კი ამერიკელი ვარსკვლავების მაღალ ინდივიდუალურ ოსტატობაზე აგებს.

კალიდოსკოპი

„მილუოკ ბაქსი“ კალათბურთის ეროვნულ ასოციაციის საშუალო კლუბების რიცხვის მექუთვნება. მას არა აქვს ისეთი მდიდარი ტრადიციები, როგორც „ბოსტონ სელტიქსს“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერს“ ან „ფილადელფია 76“-ს. შარშანდელ ჩემპიონატში „მილუოკ ბაქსი“ მეთებლდინალში გავიდა, სადაც დაიბრუნა ბოლოში დამარცხდა მოკავალ ფანალისტ „ბოსტონ სელტიქსთან“. ამჟამად გუნდს სათავეში უდგას ახალი მწვრთნელი დელ პარისი. გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან მცველი სიდნეი მონკრიფი (193) და ცენტრალური თავდასხმელი ერიკ კამინგსი (206). ამ ტანდემის ნეიტრალიზება „მილუოკ ბაქსის“ მეტროქეთა ძირითადი სასრუნავი იქნება.

მეკაბა კალანდამე.

ჩვენე მისამართი: წერილებისთვის — 280088 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეკემბრისთვის — თბილისი, „დელია“.

კალათბურთის განყოფილება: წერილების განყოფილება — 92-97-55, სამდივნო — 92-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 92-97-52, „მერანი“ — 92-97-26, „მარათე“ — 92-97-27.

ჩვენე მისამართი: წერილებისთვის — 280088 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეკემბრისთვის — თბილისი, „დელია“.